



**თბილისის ჰუმანიტარული  
სასწავლო უნივერსიტეტი**

მოდულირებულია და განხილულია ჯანდაცვის ფაკულტეტის  
საბჭოს სხდომაზე (სხდომის ოქმი №7, 15.03.2013)

დამტკიცებულია  
თჰუ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 20 აპრილის N1/2013 გადაწყვეტილებით  
თჰუ რექტორის 2013 წლის 24 აპრილის N36/07 ბრძანებით

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ფაკულტეტი	ჯანდაცვის
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კბილის ტექნიკოსი
სწავლების ენა	ქართული
პროფესიული სტანდარტის კოდი	090251
პროფესიული განათლების საფეხური:	V
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	30 კრედიტი
პროგრამის კოორდინატორი	მედიცინის დოქტორი, ასოც. პროფ. ი.საყვარელიძე
პროგრამის მოდიფიცირების თარიღი	2013 წელი

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** კბილის ტექნიკოსი V საფეხური

**პროფესიული განათლების საფეხური:** მეხუთე საფეხურის კბილის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** კურსდამთავრებულს ენიჭება კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

**სწავლწების ენა** ქართული

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით კრედიტების გაანგარიშების წესის თანახმად და შეადგენს 30 კრედიტს (18 კრედიტი ეთმობა თეორიას (სასწავლო კომპონენტს), ხოლო 12 კრედიტი-პრაქტიკას (პრაქტიკულ კომპონენტს) , რაც შეადგენს მთლიანობაში 40 %. სულ 750 სთ. (აქედან სასწავლო კომპონენტი შეადგენს 450 სთ., ხოლო პრაქტიკის კომპონენტი- 300 სთ.). 1 კრედიტი უდრის 25 საათს.

**სწავლის ხანგრძლივობა:** 19 კვირა

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**სფეროს აღწერა:** წინამდებარე პროგრამა შედგენილია კბილის ტექნიკოსის 090251 პროფესიული სტანდარტის, მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერის, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს პროფესიული განათლების მეხუთე საფეხურის სწავლის შედეგებისა და პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის გათვალისწინებით.

კბილის ტექნიკოსის საქმიანობა განეკუთვნება ჯანმრთელობისა და ესთეტიკის სფეროს. პროფესია ორიენტირებულია პიროვნებაზე, მის საჭიროებებსა და ინდივიდუალურ მოთხოვნებზე, აგრეთვე ექიმ სტომატოლოგთან კოორდინირებულ ქმედებაზე და მოიცავს: ექიმი სტომატოლოგის შეკვეთის ზუსტად შესრულებას; შესრულებული კონსტრუქციების ხარისხის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში - დახვეწას; ძერწვას, მოდელირებასა და პროთეზირებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

**პროგრამის მიზანს** წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტს გამოუმუშავოს კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურისათვის დამახასიათებელი და სპეციფიკური თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები კონკრეტული პროფესიული ამოცანების გადასაწყვეტად თავის მომავალ საქმიანობაში.

**პროგრამის ამოცანებია:**

კბილის ტექნიკოსისათვის საჭირო ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიცემა;

- საანაბეჭდო და პროთეტიკული ნებისმიერი თანამედროვე მასალის დანიშნულებისა და გამოყენების მეთოდის შესწავლა;
- ნებისმიერი ორთოპედიული აპარატის შექმნის ხელოვნების დაუფლება;
- სატექნიკო ლაბორატორიისთვის უსაფრთხოების ნორმების გაცნობიერება;
- ჰიგიენის ნორმების შესწავლა

კბილების გვირგვინების დეფექტების პროთეზირების უნარების გამომუშავება ჩანართებით, ნახევარგვირგვინებით, ვინირებით, ხელოვნური გვირგვინებით, ფაიფურის, პლასტმასის, ოქროს, ვერცხლის, ფოლადის და ფოლადის შენადნობების გამოყენების უნარების გამომუშავება;

- დაშლილი გვირგვინის რესტავრაციის უნარების გამომუშავება წვირების დახმარებით;
- მძიმე დეფორმაციების შემთხვევაში მთლიანი მოსახსნელი პროთეზების, ასევე ორთოდონტიული და ორთოპედიული აპარატების შექმნის პრაქტიკული უნარების გამომუშავება.

**VIII. სწავლის შედეგი:**

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p><b>კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის</b> დასრულების შემდეგ პროფესიულ სრუდენტს:</p> <p>აქვს კბილის ტექნიკოსისათვის საჭირო ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცის საანაბეჭდო და პროთეტიკული ნებისმიერი თანამედროვე მასალის დანიშნულება და გამოყენების მეთოდი;</li> <li>• დაუფლებულია ნებისმიერი ორთოპედიული აპარატის შექმნის ხელოვნებას;</li> <li>• გაცნობიერებული აქვს სატექნიკო ლაბორატორიისთვის უსაფრთხოების ნორმები;</li> <li>• იცის ჰიგიენის ნორმები და ახორციელებს სხვადასხვა ინფექციური დაავადების გავრცელების საშიშროების ასაცილებელ ღონისძიებებს.</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p><b>კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის</b> დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს:</p> <p>შეუძლია გამოიყენოს თეორიული ცოდნა და ობიექტურად შეაფასოს სამუშაო მოდელზე რაიმე პათოლოგიით განვითარებული კბილების, კბილთა მწკრივებისა და ყბების ალვეოლური ნაწილის დეფექტი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ტექნოლოგიების შერჩევით დაავადების რეციდივის თავიდან ასაცილებლად ექიმთან გადაწყვიტოს პროფილაქტიკისთვის აუცილებელი საკითხები;</li> <li>• შეუძლია სატექნიკო ლაბორატორიის ორგანიზება, შეუძლია სხვისი სამუშაოს დაგეგმვა;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია კბილების გვირგვინების დეფექტების პროთეზირება ჩანართებით, ნახევარგვირგვინებით, ვინირებით, ხელოვნური გვირგვინებით, ისეთი მასალების ტექნოლოგიების ცოდნითა და გამოყენებით, როგორებიცაა: ფაიფური, პლასტმასი, ოქრო, ვერცხლი, ფოლადი და ფოლადის შენადნობები, ასევე მათი კომბინაციები;</li> <li>• შეუძლია დაშლილი გვირგვინის რესტავრაცია წკირების დახმარებით;</li> <li>• შეუძლია კბილების ნაწილობრივი დაკარგვის დროს კბილთა მწკრივების დეფორმაციების ობიექტური შეფასება სამუშაო მოდელზე და მოუხსნელი ხიდისებური პროთეზებით, ან ნაწილობრივი, მოსახსნელი – ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენებით, რეაბილიტაცია;</li> <li>• შეუძლია მძიმე დეფორმაციების შემთხვევაში მთლიანი მოსახსნელი პროთეზების, ასევე ორთოდონტიული და ორთოპედიული აპარატების შექმნა.</li> </ul>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p><b>კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს:</b></p> <p>შესწევს უნარი ამოიცნოს პრობლემა, დასკვნის გაკეთებამდე გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო საშუალებები და შეადგინოს სამუშაოს შესასრულებლად ალტერნატიული გეგმა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია დამაჯერებლად ექიმის ინფორმირება და შესწევს მასთან შეთანხმება;</li> <li>• შეუძლია ანაბეჭდის ექიმისგან მიღების შემდეგ სამუშაო მოდელზე ორიგინალური დასკვნის გაკეთება;</li> <li>• შეუძლია მოდელის კრიტიკული შეფასება და, შესაბამისად, ორთოპედიული კონსტრუქციის შესაქმნელად სხვადასხვა შესაძლებელი ვარიანტის განხილვა, ექიმთან კოორდინირებულად საბოლოო გეგმის შედგენა და მიღებული შესაძლო შედეგის კრიტიკული ანალიზი.</li> </ul>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p><b>კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს:</b></p> <p>შეუძლია როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი კომუნიკაცია კოლეგებსა და სამედიცინო პერსონალთან;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში გამოიყენოს სატექნიკო საინფორმაციო ტექნოლოგიები;</li> <li>• აქვს კომპიუტერული ტექნიკის კარგი ცოდნა და</li> </ul>

	<p>შეუძლია მშობლიურ და უცხოურ ენებზე პროფესიული ინფორმაციის მოძიება, ინფორმაციის დამუშავება და ანგარიშის წარდგენა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია მიღებული ცოდნის გადაცემა, გაზიარება, საკუთარი საქმიანობის დემონსტრაციის უნარი.</li> </ul>
<b>სწავლის უნარი</b>	<p><b>კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის</b> დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს:</p> <p>შეუძლია კარიერული წინსვლის დაგეგმვა. საზღვრავს პროფესიული სრულყოფისათვის საჭირო ნაბიჯებს.</p>
<b>ღირებულებები</b>	<p><b>კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის</b> დასრულების შემდეგ პროფესიული სტუდენტი:</p> <p>მოქმედებს როგორც სამუშაო, ასევე განსხვავებულ სიტუაციებში მედიცინის მუშაკის პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ეთიკური ნორმების დაცვით;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება მის მიერ შესრულებულ სამუშაოს;</li> <li>• შეუძლია სადაო სიტუაციებში კრიტიკულად მიუდგეს საკუთარ ნამუშევარს, გააკეთოს შესაბამისი დასკვნა, შეუძლია გაითვალისწინოს პაციენტისა და ექიმის შენიშვნები;</li> <li>• აფასებს სხვების დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი;</li> <li>• შეუძლია თავისი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას.</li> </ul>

## სწავლების მეთოდები

სწავლის დროს ხდება თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია, კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება კლინიკურ გარემოში. სწავლებისას უპირატესობა ენიჭება ახალ ტექნოლოგიებს. სწავლების პროცესში პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს **ლექციებზე, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.**

სწავლის დროს ხდება თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია. სწავლებისას უპირატესობა ენიჭება ახალ ტექნოლოგიებს.

სწავლებისას გამოიყენება ისეთი აქტიური მეთოდები, როგორცაა:

- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს;
- **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
- **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;
- **შემთხვევის ანალიზი (Case study)** – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს (მაგალითად, კაზუსს), რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს;
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
  - ა) პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
  - ბ) დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
  - გ) გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
  - დ) კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
  - ე) შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
  - ვ) უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა;
- **როლური და სიტუაციური თამაშები** – სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს ამ თუ იმ საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში; ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;



- **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდება სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პროფესორის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი თვალსაჩინოს ხდის სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხურს, აკონკრეტებს იმ სამუშაოს, რომლის შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს;

**ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ხდება სწავლების ინტენსიფიკაცია (აქტივიზაცია), რაც სტუდენტში ახდენს შემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებას, აჩვენებს მას იაზროვნოს პროფესიულად. აღნიშნული მეთოდების გამოყენება მიზნად ისახავს დააინტერესოს სტუდენტი, შემოქმედებითად აქტიური და დამოუკიდებელი გახადოს იგი ცოდნის მარაგის პროცესში და სხვ.

- ინტერაქტიური ლექციები;
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა;
- პრაქტიკული მეცადინეობა;
- პრეზენტაცია
- სასწავლო პრაქტიკა;
- საწარმოო პრაქტიკა.

აღნიშნული მეთოდების გამოყენებით ხდება სწავლების აქტივიზაცია, რაც პროფესიულ სტუდენტში ახდენს შემეცნებითი საქმიანობის განვითარებასა და სტიმულირებას, აჩვენებს მას იაზროვნოს პროფესიულად. აღნიშნული მეთოდების გამოყენება მიზნად ისახავს დააინტერესოს პროფესიული სტუდენტი, შემოქმედებითად აქტიური და დამოუკიდებელი გახადოს იგი ცოდნის მარაგის დაგროვების პროცესში.

## **პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა**

კბილის ტექნიკოსის პროფესიული პროგრამებით სწავლებისას გამოიყენება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწესებული ერთიანი შეფასების 100-ქულიანი მრავალკომპონენტური სისტემა და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება (ბრძანება №121/5 2010 წლის 10 დეკემბერი), და ასევე თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შიდა აქტებით (თპუთჰუ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 მაისის N2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული განათლების დებულების მუხლი 5,8 ).

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, მინიმალური 51 ქულა

4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

ბ.1) დასკვნითი გამოცდაზე პროფესიულ სტუდენტს მოეთხოვება განვლილი მასალის ცოდნის დადასტურება, შემოწმება ხდება სხვადასხვა ფორმატით: ტესტი (ღია/დახურული კითხვები), საკითხები და სხვ.

ბ.2) დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა არის მინიმუმ 11 ქულის დაგროვება შუალედური შეფასებების დროს.

5. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების (F) ჩაიჭრა (40% და ნაკლები) მიღების შემთხვევაში არანაკლებ 10 დღეში.

### ა) უნივერსიტეტში დადგენილი შეფასების კრიტერიუმები და ქულათა გადანაწილება

1	აქტიურობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, პრეზენტაციები და სხვ. აქტივობა)	მაქსიმუმ 30 ქულა
2	პირველი შუალედური შეფასება (წერიტი)	მაქსიმუმ 15 ქულა
3	მეორე შუალედური შეფასება (წერიტი)	მაქსიმუმ 15 ქულა
4	დასკვნითი გამოცდა (კომბინირებული)	მაქსიმუმ 40 ქულა
	სულ	100 ქულა

### პრაქტიკის შეფასება:

❖ კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულია 12 კრედიტი სასწავლო და საწარმოო პრაქტიკისათვის და ის წარმოადგენს სავალდებულო კომპონენტს და პროგრამის განუყოფელ ნაწილს. იგი ორიენტირებულია პროფესიული



სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის. იგი შესაძლებლობას აძლევს პროფესიულ სტუდენტს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს სასწავლო გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები). პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამივე დაინტერესებული მხარისათვის: პროფესიული სტუდენტის, საგანმანათლებლო დაწესებულების და დამსაქმებლებათვის. სასწავლო საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ. პრაქტიკის ობიექტი (პრაქტიკაზე მიმღები ორგანიზაცია) ან მისი სტრუქტურული ერთეული უნდა იყოს სტომატოლოგიის დარგის შესაბამისი. სასწავლო საწარმოო პრაქტიკას ხელმძღვანელობს პრაქტიკის ხელმძღვანელი (თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის წარმომადგენელი), რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის სილაბუსის განხორციელებაზე; პრაქტიკის ობიექტი გამოყოფს მენტორს, რომელიც პასუხისმგებელია პრაქტიკის ობიექტში პროფესიულ სტუდენტზე ზედამხედველობის განხორციელებაზე და უნივერსიტეტს უკავშირდება შესაბამისი

კონტრაქტით; სასწავლო საწარმოო პრაქტიკა არის განაცხადი პროფესიული სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდგომ. პროფესიული კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი სასწავლო საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

- ❖ პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება კბილის ტექნიკოსების სამუშაო ადგილებზე სტომატოლოგიურ კლინიკებში (ე.წ. გასვლითი ციკლი). ამასთან დაკავშირებით მათი ჩატარების მეთოდიკა უნდა იყოს ადაპტირებული რეალურ პირობებთან. ყოველი მეცადინეობის დაგეგმვისა და ჩატარებისას იგულისხმება, რომ პროფესიული სტუდენტები დამოუკიდებლად შეუძლიათ:
- ❖ გამოიყენონ თეორიული ცოდნა და ობიექტურად შეაფასოს სამუშაო მოდელზე რაიმე პათოლოგიით განვითარებული კბილების, კბილთა მწკრივებისა და ყბების ალვეოლური ნაწილის დეფექტი;
- ❖ ტექნოლოგიების შერჩევით დაავადების რეციდივის თავიდან ასაცილებლად ექიმთან გადაწყვიტოს პროფილაქტიკისთვის აუცილებელი საკითხები;
- ❖ სატექნიკო ლაბორატორიის ორგანიზება, სხვისი სამუშაოს დაგეგმვა;
- ❖

- ❖ კბილების გვირგვინების დეფექტების პროთეზირება ჩანართებით, ნახევარგვირგვინებით, ვინირებით, ხელოვნური გვირგვინებით, ისეთი მასალების ტექნოლოგიების ცოდნითა და გამოყენებით, როგორებიცაა: ფაიფური, პლასტმასი, ოქრო, ვერცხლი, ფოლადი და ფოლადის შენადნობები, ასევე მათი კომბინაციები;
- ❖ დაშლილი გვირგვინის რესტავრაცია წკირების დახმარებით;
- ❖ კბილების ნაწილობრივი დაკარგვის დროს კბილთა მწკრივების დეფორმაციების ობიექტური შეფასება სამუშაო მოდელზე და მოუხსნელი ხიდისებური პროთეზებით, ან ნაწილობრივი, მოსახსნელი – ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენებით, რეაბილიტაცია;
- ❖ მძიმე დეფორმაციების შემთხვევაში მთლიანი მოსახსნელი პროთეზების, ასევე ორთოდონტიული და ორთოპედიული აპარატების შექმნა.

სამუშაო ადგილებზე პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებისას ცოდნისა და უნარების შეფასება მოხდება "ცოცხალ" სამუშაოზე, რომელიც შეესაბამება მეცადინეობის თემატიკას. ორთოპედიული განყოფილების უფროსთან შეთანხმებით მეცადინეობის ნაწილი შეიძლება ჩატარდეს საექიმო კაბინეტებში პაციენტების გამოკვლევების დროს, მკურანლობის გეგმის განსაზღვრის დროს და პროტეზების დამზადების კლინიკური ეტაპების დროს. პრაქტიკულ მეცადინეობაზე დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგის დიალოგს პრაქტიკანტებთან მეცადინეობის დასაწყისში, როდესაც პედაგოგი ავლენს პროფესიული სტუდენტების ცოდნის დონეს, ესაუბრება მათ ტექნოლოგიებზე, უზიარებს კლინიკურ გამოცდილებას, თეორიულ მასალას განავრცობს და სათითაოდ ყველას აძლევს დავალებას. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგის მხრიდან ყოველი შესრულებული სამუშაოს შექებას და წახალისებას.

- ❖ საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში სავალდებულო წესით ასახულია: პრაქტიკის მიზნები; მისაღწევი სწავლის შედეგები; მოცულობა, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები; განხორციელების ადგილი და დრო; პრაქტიკის პროცესში განსახორციელებელი აქტივობა; პრაქტიკის შეფასების კრიტერიუმები.
- ❖ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მოსამზადებელი შეხვედრა, პროფესიული სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ; პრაქტიკის ადგილის გაცნობა მენტორის მიერ; სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური ჩანაწერების წარმოება; პროფესიული სტუდენტის ზედამხედველობა მენტორის მიერ; პროფესიული სტუდენტის კონსულტირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, პრაქტიკის

- ❖ შუალედური მიმოხილვა/შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ; პრაქტიკის ანგარიშის მომზადება; პრაქტიკის საბოლოო შეფასება.
- ❖ საწარმოო პრაქტიკის გავლისას პროფესიული სტუდენტი აწარმოებს პრაქტიკის დღიურს და ადგენს პრაქტიკის ანგარიშს.

**პრაქტიკის შეფასება** ხდება ორ ეტაპად: შუალედური და დასკვნითი შეფასების სახით.

პრაქტიკის **შუალედური შეფასებისას**, სტუდენტმა უნდა დააგროვოს მაქსიმუმ **60 ქულა** და ითვალისწინებს 2 ეტაპს და კომპონენტს :

**1) აქტიურობას პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას და შესრულებული სამუშაოს დემონსტრირებას - მაქსიმუმ 30 ქულა, რომელსაც აფასებს მენტორი/კლინიკის ხელმძღვანელი:**

- კომუნიკაცია - 3 ქულა
- გუნდური მუშაობის უნარი - 3 ქულა
- შესრულებული სამუშაოს ხარისხი - 5 ქულა
- ორგანიზებულობა, თანმიმდევრულობა და პუნქტუალობა - 5 ქულა
- ინიციატივა და პასუხისმგებლობა - 3 ქულა
- მუშაობის ტემპი - 3 ქულა
- მუშაობის სისწორე - 3 ქულა
- შესრულებული სამუშაოს დემონსტრირება (ამ დროს ხდება დემონსტრირების მეთოდების გამოყენება, რაც გულისხმობს აუდიტორიის წინაშე პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას, შეფასების მიზნით) – 5 ქულა

**2) პრაქტიკის დღიურის წარმოებას - მაქსიმუმ 30 ქულა**

- 30-21 ქულა სტუდენტი სისტემატიურად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, ინიშნავს მონაცემებს, აღწერს ყოველკვირეულ/ყოველდღიურ შესრულებულ სამუშაოს, გადმოცემულია ის სიახლეები, რომელსაც სტუდენტი გაეცნო პრაქტიკის განხორციელების პროცესში, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით სტუდენტი აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს.
- 20-11 ქულა სტუდენტი დამაკმაყოფილებლად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, ინიშნავს მონაცემებს, არასრულად აღწერს ყოველკვირეულ/ყოველდღიურ შესრულებულ სამუშაოს, შესაბამისი მაგალითების მოშველიებით სტუდენტი აფიქსირებს მიღწეულ შედეგებს.

- 10-1 ქულა სტუდენტი არასრულად აწარმოებს პრაქტიკის დღიურს, მოცემული სწავლის შედეგები არასრულია.
- 0 ქულა-სტუდენტმა საერთოდ ვერ ან არ აწარმოა პრაქტიკის დღიური და არ აქვს გაწერილი პრაქტიკული აქტივობები და სწავლის შედეგები.

**3) პრაქტიკის დასკვნითი შეფასება (მაქსიმუმ 40 ქულა), ახდენს პრაქტიკის პერიოდში მოღებულ კომპეტენციების დემონსტრირებას და ითვალისწინებს პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვას და შედეგა შემდეგი კომპონენტებისაგან:**

- ა) გაფორმება და რეზიუმე, რომელიც ასახავს პრაქტიკის მიზნებსა და შედეგებს – 5 ქულა;
- ბ) პრაქტიკის ობიექტის აღწერა, რომელიც ქმნის მკაფიო წარმოდგენას პრაქტიკის ობიექტზე –5 ქულა;
- გ) პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი (რამდენად შეესაბამება პრაქტიკული საქმიანობა სასწავლო/საწარმოო პროფესიული პრაქტიკის მიზნებს, რამდენად განავითარებს პროფესიულ კომპეტენციებს) – 10 ქულა;
- დ) დასკვნები და რეკომენდაციები – 5 ქულა;
- ე) საჯარო პრეზენტაცია – 15:

**პრაქტიკის ანგარიშის საჯარო დაცვა/პრეზენტაცია - მაქსიმუმ 15 ქულა ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:**

- ა) შესაბამისობა პრეზენტაციის მიზნებთან - მაქსიმუმ 5 ქულა:
  - პრეზენტაციას გააჩნია მიზანი და გადმოსცემს მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას პრეზენტაციის თემაზე - 5 ქულა
  - მიზნები დასახულია, პრაქტიკის ანგარიში ნაწილობრივ შესაბამება დასახულ მიზნებს - 4-3 ქულა
  - პრეზენტაციაში მიზანი ისახება, შინაარსი ცუდად არის გადმოცემული და მიზანი ბუნდოვანია- 2-1 ქულა
  - პრეზენტაციის შინაარსი არ შეესაბამება პრეზენტაციის მიზნებს - 0 ქულა
- ბ) პრეზენტაციის შინაარსობრივი მხარე, წყაროების გამოყენება - მაქსიმუმ 5 ქულა

- პრეზენტაციას გააჩნია სრული მონაცემები, აღინიშნება სხვადასხვა წყაროების დიდი რაოდენობით გამოყენება - **5 ქულა**
- შინაარსი სრულად არის გაშუქებული, გამონაკლისის სახით დაშვებულია შეცდომები, მწირია წყაროების გამოყენება - **4-3 ქულა**
- შეზღუდულია მონაცემები, დასკვნები არ არის გაკეთებული, 1-2 წყაროა გამოყენებული - **2-1 ქულა**
- საერთოდ არ არის არც ერთი წყარო გამოყენებული, შინაარსი არ არის სწორად გადმოცემული, გაუგებარია - **0 ქულა**

**გ)პრეზენტაციის დიზაინი (გაფორმება)- მაქსიმუმ 3 ქულა**

- გაფორმების ყველა პუნქტი დაცულია, პრეზენტაციის ფონი კარგად აღიქმება, სლაიდები პრეზენტაციის თემის შესაბამისია, სლაიდების გაფორმებაში გამოყენებულია სხვადასხვა სახის საშუალებები: ანიმაციები, სურათები და სხვ. ობიექტები - **3 ქულა**
- ტიტული ნაწილობრივ გაფორმებულია, ყველა სურათი არ არის პრეზენტაციის თემის შესაბამისი - **2-1 ქულა**
- ტიტული არ არის გაფორმებული, არც ერთი პუნქტი არ არის სწორად მითითებული, სლაიდები და გაფორმების სხვა საშუალებები არ არის გამოყენებული - **0 ქულა**

**დ)პრეზენტაციის ტექნოლოგია/ კონტაქტი აუდიტორიასთან- მაქსიმუმ 2 ქულა**

- კონტაქტი აუდიტორიასთან დამყარებულია და ეფექტურია, მეტყველება სწორი, კარგი და საინტერესოა, აუდიტორიის რეაქცია ადეკვატურია - **2 ქულა**
- კონტაქტი აუდიტორიასთან სუსტია, ხანდახან უინტერესო, პრობლემების წამოჭრა არ ხდება, აუდიტორია განიცდის სირთულეს პრეზენტატორისა და პრეზენტაციის აღქმის პროცესში - **1 ქულა**
- კონტაქტი პრეზენტატორსა და აუდიტორიას შორის დაკარგულია, აუდიტორია ვერ აღიქვამს პრეზენტაციას - **0 ქულა**.

**სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის შესრულებისთვის გამოიყენება სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, პირველ რიგში ეს არის:**

<p>სწავლებისა და სწავლის მეთოდები</p>	<p>პრაქტიკის შესრულებისთვის გამოიყენება სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, პირველ რიგში ეს არის:</p> <p><b>პრაქტიკული მეთოდები</b> – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც პროფესიულ სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, გარდა ამისა პრაქტიკის ხელმძღვანელის არჩევით შესაძლოა სხვა არანაკლებ ეფექტური მეთოდების გამოყენება, მაგ.:</p> <p><b>ჯგუფური (collaborative) მუშაობა</b> - ამ მეთოდით სწავლება პრაქტიკის ობიექტზე გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას პრაქტიკის პროცესში.</p> <p><b>დემონსტრირება</b>  დემონსტრირება წარმოადგენს პრაქტიკული სწავლების ფორმას და გულისხმობს დავალების, პროცედურის უშუალო შესრულებას, რასაც თან მასწავლებლის/ ინსტრუქტორის ახსნა-განმარტება ახლავს.</p> <p><b>დემონსტრაცია</b> არის სწავლების ტექნიკა, რომელიც მოიცავს ზეპირ ახსნა-განმარტებას (ინსტრუქტაჟს) და კონკრეტული დავალების, ამოცანის კეთებას ფაქტების, პროცესებისა და კონცეფციების ახსნის მიზნით. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების სწავლებისას. სტუდენტის მიერ პრაქტიკული სამუშაო ფასდება შესრულების სიზუსტის მიხედვით.</p> <p><b>როლური თამაშები</b> ჯგუფური მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა; ამ დროს სტუდენტები ახდენენ დავალების სიმულაციას, ასრულებენ გარკვეულ როლს და ამ გზით იძენენ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას.</p> <p><b>შეფასება:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკუთარი თავისა და მონაწილეების შეფასება</li> </ul>
---------------------------------------	---



	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოკლე კითხვარი.</li> </ul> <p><b>დაკვირვების მეთოდი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მონაწილეების პროცესში ჩართულობა</li> <li>• სხვა წევრებთან ურთიერთობა</li> <li>• დასახული ამოცანის შესრულების ხარისხი</li> <li>• კომენტარების გაკეთება</li> </ul> <p>პროფესიული სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე პრაქტიკულად ახორციელებს კბილების მოდელირების სხვადასხვა მეთოდებს, დამოუკიდებლად ამზადებს მასალებს, მუშაობს ჯგუფში, იყენებს დემონსტრირების მეთოდს.</p>
--	--

**დასაქმების სფერო**

მეხუთე საფეხურის კბილის ტექნიკოსს აქვს კბილის ტექნიკოსისათვის საჭირო ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. შესაბამისად, პროფესიული სტუდენტი დასაქმდება სატექნიკო ლაბორატორიაში კბილის ტექნიკოსად და შესრულებს ექიმ-სტომატოლოგის დავალებებს.

**სწავლის გაგრძელების საშუალება-** კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხური არის დასკვნითი საფეხური. კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სხვა პროფესიული სპეციალობით ან განათლების სხვა საფეხურზე კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ.**

კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის რეალიზაციისათვის გამოიყენება თქუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, თქუ ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრები, აუდიტორიები, ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიური კლინიკა და სხვა საუნივერსიტეტო შესაძლებლობები.

- თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერული კლასი, სააუდიტორიო ფონდი ვიდეო-ლექციების უზრუნველყოფით, ენის კაბინეტით და სხვა რესურსებით), რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა სახის პრაქტიკულ და თეორიულ მომზადებას. კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული/ელექტრონული): თანამედროვე სახელმძღვანელოებით, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით. ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო ფონდი, მონაცემთა ბაზები (OPEN BIBLIO, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში წვდომა უზრუნველყოფილია (EBSCOHost (<http://search.epnet.com>) (ელექტრონული ჟურნალები და წიგნები).

პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების და საწარმოო პრაქტიკის გავლის მიზნით უნივერსიტეტს კონტრაქტი აქვს გაფორმებული სამედიცინო დაწესებულებასთან: /ს/ს ცეცხლადის სახელობის N 2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკა (სატექნიკო ლაბორატორია).

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების ორგანიზების სქემა: კბილის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიულ პროგრამას ხელმძღვანელობს ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სტომატოლოგიის პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის აკადემიური პერსონალით, მოწვეული პროფესორ-მასწავლებლებით, ექიმ-პრაქტიკოსებით და კბილის ტექნიკოსებით დაკომპლექტებას. პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის გავლის მიზნით აფორმებს ხელშეკრულებებს სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სამედიცინო დაწესებულებებთან, სტომატოლოგიურ კლინიკებთან და სხვა სასწავლო ბაზებთან. კოორდინაციას უწევს თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიური კლინიკის მუშაობის პროცესს.

№	სახელი და გვარი	თანამდებობა/ხარისხი	მიმართულება/საგანი
1	ეკა ესებუა	ბიოლოგიის დოქტორი, უფროსი მასწავლებელი	ჰიგიენა და ეკოლოგია
2	თამარ ბარელაძე	მასწავლებელი, ექიმი ინფექციონისტი	ინფექციური დაავადებები
3	თეა გელენიძე	ინგლისური ენის მასწავლებელი	ინგლისური ენა /Intermediate/
4	ნანა ბიჩენოვი	ინფორმატიკის მასწავლებელი	თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები 3
5	რუსუდან დევნოზაშვილი	უფროსი მასწავლებელი მედიცინის დოქტორი თჰუ ასისტენტ-პროფესორი	ორთოპედიული აპარატები
6	ჯ. ადამია	მასწავლებელი, ექიმი სტომატოლოგი	ორთოდონტული აპარატები
5	დ. ბახტაძე	მასწავლებელი, ექიმი სტომატოლოგი	საანაბეჭდო და პროთეტიკული თანამედროვე მასალები
7	ზურაბ დუგლაძე	კბილის ტექნიკოსი, სატექნიკო ლაბორატორიის ინსტრუქტორი	საწარმოო პრაქტიკა ორთოპედიული აპარატების შექმნაში
8	ლევბორაშვილი მამუკა	კბილის ტექნიკოსი, სატექნიკო ლაბორატორიის ინსტრუქტორი	საწარმოო პრაქტიკა ორთოდონტული აპარატების შექმნაში